ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**გ-29. 29251273**
თარიღი:**07/05/2025**

,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის N 29.29250158 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის'' 61-ე მუხლის პირველი პუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

მუხლი 1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის N 29.29250158 განკარგულების დანართში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1. დანართის მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,მუხლი 3. სამედიცინო მომსახურების დასახელება:

1.თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის სამედიცინო მომსახურების საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება:

ა) საყოველთაო ჯანდაცვის ან კერძო დაზღვევის ფარგლებში განხორციელებული ოპერაცია.

ბ) საყოველთაო პროგრამით ან კერძო დაზღვევით დაუფინანსებელი ოპერაცია .

გ) ონკოლოგიური დაავადებების მქონე პირების სამედიცინო მომსახურება.

დ) გამოკვლევები.“

2. დანართის მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,მუხლი 6. მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენი დოკუმენტაცია:

1.პროგრამით სარგებლობის მსურველი პირი, ხოლო არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში მისი მშობელი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენს განცხადებას, რომელსაც თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ხოლო არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში ორივე მშობლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, არასრულწლოვნის რეგისტრაციის ბარათი / პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი , დაბადების მოწმობის ასლი.''

მუხლი 2. განკარგულება შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM

დავითი გოგბერაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი